



“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეჩილაძე

9. 24. 03

„24“ 2016 წელი

გვ. N2

საქართველო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში *ა/15/36*

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი	
შემოკლებები	3
ზოგადი ინფორმაცია	4
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
1. არაფინანსური აქტივები	6
1.1. შეუფასებელი და აღურიცხავი აქტივები	6
1.2. ორმაგად აღრიცხული აქტივები	7
2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	7
2.1. აღურიცხავი მოთხოვნები	7
2.2. ცალმხრივად აღრიცხული დავალიანებები	8
3. არასწორი კლასიფიკაცია	8
4. ეკონომიკური მოვლენების დროში არასწორად ასახვა.	9
5. საცნობარო მუხლები	10
6. მაშტაბის შეზღუდვა	11
6.1. არაფინანსური აქტივები	11
6.2 დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	11
პირობითი მოსაზრება	12
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	12
1. შესყიდვები	12
2. „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამა	19
2.1 „ორმაგი დაზღვევა“	20
2.2 სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება	21
2.3 ვადაგადაცილებული ანგარიშსწორება	23
2.4 სამედიცინო შემთხვევების მონიტორინგი	24
2.5 უფლებამოსილების გამიჯვნა	25
2.6 „ინტერესთა კონფლიქტი“	25
3. პროგრამა „სოფლის ექიმი“	25
4. შრომის ანაზღაურება	27
5. წინასწარი ანგარიშსწორება	29
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემო	30
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები	35

შემოკლებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სამინისტრო;
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - ცენტრალური აპარატი;
3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო - სააგენტო;
4. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი - ცენტრი;
5. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი - ფონდი;
6. სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი -დახმარების ცენტრი;
7. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო - რეგულირების სააგენტო;
8. სსიპ - „სამედიცინო მედიაციის სამსახური“ - მედიაციის სამსახური;
9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება “საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ - დადგენილება #36 .

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციის 812 მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და დებულების შესაბამისად.

სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

- ა) მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია;
- ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:
 - ბ.ა) ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;
 - ბ.ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
 - ბ.გ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება;
- გ) სოციალური დაცვის სფეროში:
 - გ.ა) მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;
 - გ.ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფა;
 - გ.გ) ბავშვებზე ზრუნვა.
- დ) შრომისა და დასაქმების სფეროში:
 - დ.ა) შრომითი ურთერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;
 - დ.ბ) შრომითი მიგრაციის რეგულირება;
 - დ.გ) დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო კოდია 35 00. ის წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს კვარტალურ და წლიურ ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებას. აღნიშნულ ანგარიშგებაში გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ინფორმაცია:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;
3. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი;
4. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი;
5. სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი;
6. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
7. სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური;
8. სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი;

ბიუჯეტი

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2014 წლის საკასო ხარჯი	სხვაობა
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,632,649,000.00	2,642,784,515.37	(10,135,515.37)
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	51,382,183.00	52,567,516.85	(1,185,333.85)
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	1,972,115,327.00	1,971,490,583.30	624,743.70
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	577,464,690.00	588,279,494.09	(10,814,804.09)
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	31,686,800.00	30,446,921.13	1,239,878.87

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯებისა, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები

1.1. შეუფასებელი და აღურიცხავი აქტივები

გარემოება:

კონსოლიდირებულ (ნაერთ) ბალანსში არ არის ასახული:

- სახელმწიფოსგან ფონდის ფილიალებზე ფაქტიურ სარგებლობაში არსებობის ვადით გადაცემული 19,16 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ღირებულება;
- 2009 წლის 29 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ფონდზე უვადო და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემულია დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. პირმისანთკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1,61 ჰექტარი მიწის ნაკვეთი¹;
- 2011 წლის 18 ნოემბრს ფონდზე გადაცემული ქ. სენაკში, კობახიძის ქუჩა №9-ში მდებარე შენობა - ნაგებობები ფართობით 3,746 კვ.მ და მასზე დამაგრებული 2,83 ჰექტარი არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი².

¹საკადასტრო კოდი: 71.51.01.385

² საკადასტრო კოდი: 44.01.25.012

1.2. ორმაგად აღრიცხული აქტივები

გარემოება: სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ორმაგად აღრიცხულია 4 ავტომობილი 126,351 ლარის ღირებულებით. აღნიშნული ავტომობილები ცენტრალურმა აპარატმა, აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, შეისყიდა 2014 წლის 12 დეკემბერს და იმავე წლის 26 დეკემბერს უსასყიდლოდ, უვადოდ³ გადასცა დახმარების ცენტრს. ცენტრალური აპარატის სააღრიცხვო ჩანაწერებში გასვლის ოპერაცია რეგისტრირებული არ არის.

2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

2.1. აღურიცხავი მოთხოვნები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ხელშეკრულების საფუძველზე საიჯარო ქირის გადაუხდელობით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების, ასევე მოიჯარეზე არ არის დაკისრებული პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, კერძოდ:

- ცენტრალური აპარატის მიერ ელექტრონული აუქციონის⁴ საფუძველზე, შპს „გრინფუდთან“ 2014 წლის 17 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება⁵. ხელშეკრულებით საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა თვეში 3,506 ლარის ოდენობით. პირველი თვის საიჯარო ქირამ გადახდილი ბე-ს გათვალისწინებით შეადგინა 1,323 ლარი. ბალანსზე არ არის ასახული 2014 წლის მარტი/აპრილის თვეების გადაუხდელი საიჯარო ქირის მიხედვით შპს „გრინფუდის“ მიმართ წარმოშობილი 5,465 ლარის ღირებულების მოთხოვნები. სამინისტრომ 2014 წლის 30 მაისს მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „გრინფუდის“ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნით.
- სამინისტრომ 2014 წლის 14 მაისს ელექტრონული აუქციონის⁶ საფუძველზე გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება⁷ შპს „ეკოკვებასთან“, ხელშეკრულებით თვეში საიჯარო ქირამ შეადგინა 3,276 ლარი, ხოლო პირველი თვის საიჯარო ქირამ გადახდილი ბე-ს გათვალისწინებით შეადგინა 1,838.67 ლარი. ცენტრალური აპარატის მიერ აღურიცხავია შპს „ეკოკვების“ მიმართ 2014 წელს წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება 3,276.00 ლარი.
- “აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის” გრანტის ფარგლებში ცენტრმა 2014 წლის 27 ნოემბერს სს „ჯი პი სი“-სთან გააფორმა ხელშეკრულება⁸, რომლის მიხედვითაც საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 16 დეკემბერი. საქონელი მიწოდებულია 2015 წლის 29 იანვარს.
- “აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის” გრანტის ფარგლებში ცენტრმა 2014 წლის 1 და 2 დეკემბერს შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“-სთან

³ 2014 წლის 26 დეკემბრის მინისტრის ბრძანება #01-355/ო

⁴ აუქციონის #51968, ლოტის #131836;

⁵ იჯარის ხელშეკრულება #4

⁶ აუქციონის #51968, ლოტის #147625

⁷ იჯარის ხელშეკრულება #7

⁸ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №GF-H/ET/G-95

გააფორმა ხელშეკრულება⁹, რომლის მიხედვითაც საქონლის მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 15 დეკემბერი. საქონელი მიწოდებულია 2015 წლის 28 იანვარს.

მიმწოდებლებზე არ არის დაკისრებული და შესაბამისად, არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისათვის 3,018 ლარის ოდენობით.

2.2. ცალმხრივად აღრიცხული დავალიანებები

გარემოება:

- ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება ცენტრის მიმართ 26,053.00 ლარის ოდენობით, რომელიც არ არის ცენტრის ბალანსზე აღრიცხული როგორც დებიტორული დავალიანება¹⁰.
- ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება დებიტორული დავალიანება ცენტრის მიმართ 28,018 ლარი, რომელიც არ არის აღრიცხული ცენტრის ბალანსზე როგორც კრედიტორული დავალიანება. აღნიშნული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს.

3. არასწორი კლასიფიკაცია

გარემოება:

- ფონდმა 2014 წლის ივლისში გრანტის ფარგლებში¹¹ შეისყიდა სიღნაღის რაიონში სოფელ საქობოში არსებული 395 კვ.მ შენობა - ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული 1,300 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით 44,500 ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „შენობა-ნაგებობის“ ანგარიშზე¹².
- დახმარების ცენტრს 2014 წელს სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით - 6,392 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით - 9,14 ჰექტარი. სასწრაფო დახმარების ცენტრმა 2014 წლის 23 დეკემბერს უძრავი ქონების შეფასების მიზნით გააფორმა ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანია შპს „ექსპერტ ჯგუფთან“. აღნიშნული უძრავი ქონების (33 ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 36 საკადასტრო კოდი) საშემფასებლო ანგარიში მომზადდა 2014 წლის 29 დეკემბერს. აუდიტორულმა კომპანიამ შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები შეაფასა ერთად 2,116,384 ლარად, ცენტრის მიერ არ მომხდარა უძრავი ქონების გამიჯვნა და ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც „შენობა-ნაგებობა“;

⁹ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №GF-T/ET/G-96, ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №GF-T/ET/G-97

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #1321, მუხლი 12, პუნქტი 6.

¹¹ გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და ფონდს შორის 2012 წლის 31 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება N2012-08 საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ.

¹² საკადასტრო #56.03.57.006

იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობასთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე¹³.

- 2011 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ფონდს სარგებლობის უფლებით გადასცა სსიპ - „ჩვილ ბავშვთა სახლის“ შენობა-ნაგებობა. ფონდმა აღნიშნული შენობა-ნაგებობა 2012 წელს ბალანსზე ასახა 27,782 ლარით, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ აქტივებს: გათბობის და სათვალთვალო სისტემებს, რომელიც უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივებად და არა შენობაზე კაპიტალიზირებადი ხარჯით. 2013 წელს ბავშვთა სახლმა „განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის პროექტის“ პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მიიღო: მზის წყალგამაცხელებელი სისტემა, მონტაჟით - 71,006.38 ლარის ღირებულების, მცირეფასიანი ძირითადი აქტივები - 1,569.8 ლარი, მეტალო - პლასტმასის კარ-ფანჯრები და ჭერის თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები - 97,265.42 ლარის. ფონდმა აღნიშნული აქტივები აღრიცხა შენობაზე კაპიტალიზებად ხარჯებად.
- „სოციალური უზრუნველყოფა“ არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით¹⁴. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით სოციალური დახმარება (272) მოიცავს როგორც ფულადი ფორმით ხარჯის კლასიფიკაციას (2721), ასევე სასაქონლო ფორმით ხარჯის კლასიფიკაციას (2722): აუდიტით დადგინდა, რომ სააგენტოს მიერ შესყიდულია სოციალური დახმარების მიზნით 9,750,995 ლარის სპეცმედიკამენტები, რომლის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ასახულია მუხლში - სოციალური დახმარება ფულადი ფორმით.
- სააგენტომ პროგრამა „სოფლის ექიმის“ მეოთხე კომპონენტის, „სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის“ ფარგლებში შპს „მედიქალ პარკ“-თან ანგარიშსწორება 35,623.59 ლარის ოდენობით განხორციელა ხარჯების საბიუჯეტო კლასიფიკაციის ექსპერტიზისა და შემოწმებების ხარჯის მუხლით (ხარჯის კოდი 2.2.10.3), ნაცვლად მუხლისა სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით (ხარჯის კოდი 2721);
- სააგენტომ პროგრამა „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ფარგლებში ააიპ საქართველოს „სიან ბავშვთა სოფელს“ საბიუჯეტო კლასიფიკაციით სოციალური დაზღვევა - სასაქონლო ფორმით (ხარჯის კოდი 2712) გადაურიცხა 28,356 ლარი, ნაცვლად მუხლისა სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით (ხარჯის კოდი 2721).

4. ეკონომიკური მოვლენების დროში არასწორად ასახვა.

გარემოება: ეკონომიკური მოვლენები აღირიცხება არა მოვლენის მოხდენის თარიღით, არამედ მისი განხორციელების დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საბუღალტრო სამსახურში მიღების თარიღით.

- ფონდის მიერ 64,222 ლარის **დებიტორული დავალიანება ჩამოწერილია 2015 წლის იანვრის თვეში**, მაშინ როცა საქონლის მიწოდება და მის ფილიალებთან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება განხორციელდა 2014 წლის დეკემბრის თვეში;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321 მუხლი 27, პუნქტი 14. „იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობებთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე“

¹⁴ ბრძანება #672 საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე

- ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2014 წლამდე ირიცხებოდა შპს „მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს“ მიმართ დებიტორული დავალიანება 448,319 ლარი. აღნიშნული დავალიანება ცენტრალური აპარატის მიერ გასაჩივრდა 2010 წლის 30 ნოემბერს, რომელიც იმავე წლის 23 დეკემბრის სასამართლოს¹⁵ გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული დებიტორული დავალიანება ჩამოწერილია დაგვიანებით, 2014 წელს;
- შპს „D&I Audit Company“-ს მიმართ რიცხული 13,316 ლარის დებიტორული დავალიანება ფონდმა ჩამოწერა 2014 წლის იანვრის თვეში. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2013 წლის 27 დეკემბერს;
- სააგენტოს საბალანსე ანგარიშზე „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ (1431) 2014 წლის იანვრის თვეში აღრიცხულია 53,607 ლარის დებიტორული დავალიანება. აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა 2013 წელს განხორციელებული ოპერაციის შედეგად.

5. საცნობარო მუხლები

გარემოება:

- კონსოლიდირებული (ნაერთი) ბალანსის საცნობარო მუხლში (09) - „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ არ არის აღრიცხული¹⁶ 2014 წლამდე წარმოქმნილი და დაუფარავი კრედიტორული დავალიანება 16 396 047 ლარი.

საცნობარო მუხლში აღურიცხავი კრედიტორული დავალიანებები:

კომპონენტი	თანხა
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ც/აპარატი	16,336,703
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	7,952.00
სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	51,392.00
სულ	16,396,047

- ცენტრს საცნობარო მუხლში „განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“ (11) აღრიცხულია „აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ გრანტის ფარგლებში კლინიკებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 9,788,213.91 ლარის აქტივები. აღნიშნულ მუხლში (11) აღირიცხება - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება, სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემამდე¹⁷.

¹⁵ ბოლნისის რაონული სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება #2/132-10.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #1321, თავი XI საცნობარო მუხლები, მუხლი 43, ქვეპუნქტი 10

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321 მუხლი 43, პუნქტი 12.

- „საყოველთაო ჯანდაცვის“ პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებისას გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში შეტყობინებას ენიჭება სტატუსი - „სადაო“ და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა რეგულირების სააგენტოს. რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2014 წლის განმავლობაში „სადაო“ სტატუსი მიენიჭა 271 შემთხვევას, საიდანაც 48% (129 შემთხვევა) შემოწმებულია, ხოლო 52% დარჩენილია შესწავლის გარეშე. მონაცემთა ანალიზიდან ირკვევა, რომ შესწავლილი სადაო შემთხვევების თითქმის 50%-ის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ არ ხდება სადაო შემთხვევების თანხობრივი აღრიცხვა როგორც პირობითი ვალდებულება. შედეგად, უცნობია იმ პირობითი ვალდებულებების მოცულობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ზემოაღნიშნული სტატისტიკის გათვალისწინებით დაახლოებით 50%) შესაძლოა პირდაპირ ვალდებულებად იქცეს. აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა სადაო თანხის მოცულობის დადგენა, ვინაიდან სააგენტოს მიერ არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია. ზემოთ აღნიშნული ანალიზი ეყრდნობა მხოლოდ რეგულირების სააგენტოს მონაცემებს, სადაც მხოლოდ შემთხვევათა რაოდენობებია დაფიქსირებული.

6. მაშტაბის შეზღუდვა

6.1. არაფინანსური აქტივები

6.1.1 ფონდის ბალანსზე 2015 წლამდე ირიცხებოდა „ეწერის ბავშთა დღის ცენტრის“ შენობა - ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 87,013 ლარი. ფონდმა ვერ წარმოადგინა უძრავი ქონებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აღნიშნული შენობა - ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი არაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, ვერ დგინდება ქონების საერთო ფართი და საკუთრების უფლება.

6.1.2 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში სამკუნალო საშუალებათა (მათ შორის საკვები დანამატების) მიხედვით სააგენტოს ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურებას უწევს შპს „მედიფარმა პლუსი“. 2014 წელს აღნიშნული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 688,980 ლარი, რომელიც დაფარულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „დანარჩენი ხარჯის“ ქვემუხლიდან (ხარჯის კოდი 221014). ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტებით შეუძლებელია გაწეული ხარჯების კლასიფიკაციის შესაბამისი იდენტიფიცირება. ამასთან, აღნიშნული პირველადი დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია მარაგების ღირებულებაზე მისაკუთვნებელი და პერიოდის ხარჯად ასაღიარებელი თანხების გამოიჯენა.

6.2 დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

- რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეუძლებელია დებიტორების და კრედიტორების იდენტიფიცირება. არაიდენტიფიცირებულმა მოთხოვნამ შეადგენა 484,687 ლარი, ხოლო ვალდებულებამ 723,944 ლარი. უცნობია ორგანიზაციების საიდენტიფიკაციო ნომრები ან/და არარეალურია აღრიცხული ორგანიზაციების დასახელება და შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდები - სულ 124 ორგანიზაცია;
- ბალანსზე არღიცხულია დებიტორული დავალიანებები იმ პირების მიმართ, რომელთა რეგისტრაცია გაუქმებულია. ცენტრალური აპარატის მიერ აღრიცხულია 864 პირის მიმართ

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები, საიდანაც 20 პირის რეგისტრაცია გაუქმებულია 2011-2014წლებში. აქედან ოთხი პირის მიმართ დებიტორული დავალიანება შეადგენს 241,208.56 ლარს, ხოლო თექვსმეტი ორგანიზაციის მიმართ კრედიტორული დავალიანება 1,414,480.97 ლარს. **სააგენტოს** ბალანსზე ირიცხება 393 ორგანიზაციის დებიტორ/კრედიტორული დავალიანებები, საიდანაც შვიდი პირის რეგისტრაცია გაუქმებულია 2013-2014 წლებში და რომელთა მიხედვითაც დებიტორული დავალიანება შეადგენს 19,329 ლარს.

- უცნობია დებიტორ/კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის წლები, არ არსებობს დავალიანებების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ფონდის ბალანსზე ასეთი სახის დებიტორული და კრედიტორული დავალიანება შესაბამისად აღრიცხულია 103,697ლარი და 51,392 ლარი;

პირობითი მოსაზრება

პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ნაერთ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯებისა, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციასა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. შესყიდვები

კრიტერიუმი: თუ სახელმწიფოებრივი¹⁸ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი ჩატარების მიზნით შესყიდვის განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, შემსყიდველს შეუძლია შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

¹⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი

აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით შემსყიდველს (ადმინისტრაციულ ორგანოს) ეძლევა შესაძლებლობა კანონის ზემოაღნიშნული ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. შემსყიდველი (ადმინისტრაციული ორგანო) ვალდებულია გაიაზროს, თუ რა მიზნის მისაღწევად აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება, რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეაფასოს შემთხვევა და მიიღოს გადაწყვეტილება.

გამოვლენილი გარემოება 1: საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 14 აპრილის დადგენილებით¹⁹ დაადგინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში საქონლის (*საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები*) შესყიდვის) შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობა და სააგენტო აღიჭურვა გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილებით. სააგენტომ **2014 წლის 21 ოქტომბერს და 26 დეკემბერს**, გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულება შპს „უნივერსალ ფუდთან“²⁰ ღირებულებით 962,394.63 და 202,105 ლარი. მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული უფლებამოსილების მიზანს წარმოადგენდა მთავრობის მიერ „სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ ღონისძიების („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები) შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელება. ფაქტობრივი გარემოებით, კერძოდ იმ ფაქტით, რომ პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვა განხორციელდა დადგენილების გამოცემიდან 6 და 8 თვის შემდეგ. ე.ი. ის მიზანი, რომლის გამოც სააგენტოს მიენიჭა გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების დისკრეცია არ იქნა რეალიზებული; კონკრეტულ შემთხვევაში შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო სრულიად განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა (*საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები*). აღნიშნული კი ქმნის საქონლის მიწოდების ჯაჭვში ახალი რგოლის წარმოშობის და შესაბამისად საქონლის ღირებულების ზრდის რისკს; კომპანია რეგისტრირებულია 2014 წლის 23 სექტემბერს, ხელშეკრულების გაფორმებამდე 1 თვით ადრე. ასეთი განსხვავებული და სასაქონლო ნომენკლატურული შემადგენლობის კონტრაქტის მიცემა ზრდის საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატური ფასნამატის წარმოშობის რისკს.

გამოვლენილი გარემოება 2: 2013 წლის 5 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N1812 განკარგულებით²¹ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის C ჰეპატიტის მკურნალობის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის მედიკამენტების შესყიდვა) შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ცენტრალურ აპარატს მიენიჭა უფლებამოსილება შესყიდვები განხორციელებინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. ცენტრალურმა აპარატმა 2013 წლის 10 დეკემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²² C-ჰეპატიტის მკურნალობისათვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტის მრავალწლიან შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა **4,569,886.00** ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ჯი ემ პი“-მ, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად და 2013 წლის 27 დეკემბერს გაუფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით **4,569,886.00** ლარი.

- ხელშეკრულების პირობების თანახმად, საქონლის ნაწილის, არაუმეტეს მთლიანი რაოდენობის 15%-ის (**4 320 ფლაკონი**) მიწოდება უნდა განხორციელებულიყო შემსყიდველის მოთხოვნით ხელშეკრულების

19 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დანართი N1.13-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

20 აღნიშნული საკითხი შესწავლილია „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში.

21 „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის C ჰეპატიტის მკურნალობის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის მედიკამენტების შეზღუდულ ვადაში შესყიდვისა და მიწოდების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“

22 ტენდერის N SPA130027356

გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა 2014 წლის 25 თებერვალს იწურებოდა. შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებაზე მოთხოვნა განხორციელებულია 2014 წლის 7 მარტს და ისიც საქონლის მცირე რაოდენობაზე (80 ფლაკონი). ამავე დღეს განხორციელდა მოთხოვნილი საქონლის მიწოდება;

- სავარაუდო ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოადგენს „ჭერს“, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება კონკურენტული ფასი. არასწორად განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება ზრდის არაკონკურენტული, არასაბაზრო ფასის ჩამოყალიბების რისკს. მოცემულ შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნდა სანდო, მყარი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც აძლევდა ოპტიმალური სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობას. კერძოდ, 1. სამინისტროს მიერ იმავე დასახელების და რაოდენობის პრეპარატის შესყიდვაზე 2013 წლის 25 სექტემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერზე ჩამოყალიბდა კონკურენტული ფასი 3,126,240 ლარი. ტენდერი შეწყდა პრეტენდენტების მხრიდან აფიდავიტის პირობების დარღვევისათვის. აღსანიშნავია, რომ შპს „ჯი ემ პი“ კომპანია „პსპ“-ს ფარმაცევტულ საწარმოს წამოადგენს²³. მის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარდგენილია იგივე მედიკამენტი, რაც შპს „პსპ ფარმამ“ 2013 წლის 25 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში 3,126,240.00 ლარად შესთავაზა შემსყიდველს (პეფგერონი 180მკგ/მლ და კოპეგუსი 200მგ). 2. მოცემულ პრეპარატზე ფასი ნაკლებ ელასტიურია, ვინაიდან მასზე მოთხოვნა ძირითადად ყალიბდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და მიწოდებაც შესაბამისად სტაბილურია, რადგან მისი და მისი სუბსტანციური შემადგენლის მწარმოებელი და მიმწოდებლები შეზღუდული კონტიგენტია. აქედან გამომდინარე, ფასი ნაკლებ მგრძნობიარეა მიწოდება-მოთხოვნის ცვლილების მიმართ. შესაბამისად, საბაზრო ფასის არეალის განსაზღვრა მეტი სიზუსტითაა შესაძლებელი. ამასთან, მოცემული კონტრაქტი არის მრავალწლიანი, აღნიშნულის, ასევე კონტრაქტის „მოცულობის“ გათვალისწინებით ის მიმზიდველია ამ სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის;
- ხელშეკრულების პირობის თანახმად, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე უნდა განხორციელებულიყო მიწოდებული საქონლისა და გაწეული თანმდევი მომსახურების (მედიკამენტის მიწოდება შესაბამისი ტემპერატურის რეჟიმის მკაცრი დაცვით) ინსპექტირება. 2014 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში მიწოდებული მედიკამენტების სრულ მოცულობაზე მიღება-ჩაბარების აქტები სამინისტროს მიერ გაფორმებულია 2014 წლის 15 ივლისს. ამავე დღით თარიღდება ინსპექტირების აქტებიც.
- ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტრომ 2014 წლის 23 იანვარს შპს „ჯი ემ პი“-ს ავანსის სახით გადაურიცხა 2,545,000 ლარი. 2014 წლის ბოლოს მიწოდებული იქნა მხოლოდ 1,030,289.77 ლარის ღირებულების პრეპარატები, რაც წინასწარ გადახდილი თანხის 40%-ს შეადგენს.

გამოვლენილი გარემოება 3: 2014 წლის 10 დეკემბერს²⁴ „რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამას“ დაემატა „C ჰეპატიტის“ სკრინინგისა და ღვიძლის დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის აპარატურის (5 ერთეული) შესყიდვის კომპონენტი, ასიგნება - 700,000 ლარი. ამავე დადგენილებით აღნიშნული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ბაზრის კვლევის ეტაპზე ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომპანიამ, რომელთაგან სამინისტრომ შეარჩია შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისის" მიერ წარმოდგენილი წინადადება და 2014 წლის 30 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება 5 ერთეული, PHILIPS-ის წარმოების ულტრაბგერითი აპარატი IU22-ის შესყიდვის თაობაზე, ღირებულებით - 700,000 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, საქონლის მიწოდება განხორციელდებოდა ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90

²³ <http://psp.ge/new/pages/page/1>

²⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 დეკემბრის N674 დადგენილება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

კალენდარული დღის განმავლობაში. 2015 წლის 11 თებერვალს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 43 დღეში, მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, რომლის შესაბამისად, იმ საფუძველით, რომ იმ მომენტისთვის შეწყვეტილი იყო აპარატის IU 22 მოდელის წარმოება, მოხდებოდა მისი ჩანაცვლება იმავე რაოდენობის და ფასის უახლოესი EPIQ 7 მოდელით.

აუდიტის ჯგუფმა დაადგინა მოცემული ხელშეკრულების აღნიშნული საშუალებით საჯარო განაწილების პოტენციური რისკები (სისუსტეები): 1. წარმოდგენილი მტკიცებულებებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება მოცემული გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე, 2. შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისის" მიერ შეთავაზებული საქონლის ჯამური ღირებულება (700,000 ლარი), რომელზეც გაფორმდა ხელშეკრულება დამტკიცებული კომპონენტის ბიუჯეტის იდენტურია; 3. სამინისტროს მიერ C ჰეპატიტის სკრინინგისა და ღვიძლის დიაგნოსტიკის აპარატურა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნა იმ დროს, როდესაც არ იყო განსაზღვრული C ჰეპატიტზე მკურნალობის სტრატეგია, სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციართა რაოდენობა. აპარატურის მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით, 2015 წლის 6 აპრილს. 2015 წლის ივლისის მდგომარეობით შესყიდული 5 ერთეული აპარატიდან, მხოლოდ ერთი იყო „ექსპლუატაციაში“, ხოლო დანარჩენი ოთხი განთავსებული იყო სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში არასასაწყობო პირობებში.

კრიტერიუმი: გამარტივებული შესყიდვის გამოყენება შემსყიდველს შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს.²⁵

გამოვლენილი გარემოება: „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საჭირო მედიკამენტის (ანტიჰემოფილური VIII ფაქტორკონცენტრატის) შესყიდვაზე 2014 წლის 24 მარტს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140008209). ტენდერში მონაწილეობა მიიღო 3 პრეტენდენტმა, საბოლოო ფასები დაფიქსირდა ამავე წლის 14 აპრილს. უმცირესი ფასი (834,000 ლარი, ერთეული ღირებულება 0.35 ლარი) დააფიქსირა შპს „ეი ბი სი ფარმაცია“, რომელთანაც 2014 წლის 2 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესაბამისად, შესყიდული მედიკამენტის ნაწილობრივ (500 000ს.ე.) მიწოდება განხორციელდა 2014 წლის 2 მაისს.

2014 წლის 24 და 25 აპრილს (იმ დროს, როდესაც უკვე აღნიშნული ტენდერის მიხედვით დაფიქსირებული იყო საბოლოო ფასები), სატენდერო დოკუმენტაციით მედიკამენტის ნაწილობრივ მიწოდების ვადამდე (2014 წლის 2 მაისი) ერთი კვირით ადრე, სააგენტომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განახორციელა 500 000ს.ე. (1 თვის საშუალო ხარჯი) მედიკამენტის შესყიდვა. აღნიშნული შესყიდვა შპს „ნუგემის“-გან განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 225 000 ლარი, ხოლო ერთეულის ფასმა 0.45 ლარი. ზემოაღნიშნულ კომპანიასთან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული წესით 2014 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა კიდევ ერთი ხელშეკრულება აღნიშნული მედიკამენტის შესყიდვის მიზნით თანხით - 45,500 ლარი, ერთეულის ღირებულება 0.455 ლარი.

კრიტერიუმი: კონცენტრაცია გულისხმობს ერთი და იმავე პირი სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობას. ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას, ჩაითვლება კონცენტრაციად. კონცენტრაცია²⁶ რომელიც არსებითად

²⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, მუხლი 10¹, პუნქტი ბ.

²⁶ „კონკურენციის შესახებ“ საქ. კანონი მუხლი 11 პირველი პუნქტი კონცენტრაცია გულისხმობს: ა) ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგაა დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, დაუშვებელია.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებების“ ქვეპროგრამის ფარგლებში კონცენტრაციის შედეგად სმენის აპარატების და კოხლეარული იმპლანტის მიწოდების და თანმდევი მომსახურების შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის რისკებზე:

დომინირებადი მდგომარეობა. აღნიშნული საქონლის ერთადერთ მიმწოდებელს წლების განმავლობაში წარმოადგენს შპს „კინდსმენა“²⁷, რომელიც წარმოადგენს გერმანულ-ქართულ ერთობლივ საწარმოს. 2014 წელს შპს „კინდსმენასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1,389,300 ლარი. მოცემული საქონლის მიწოდება ძირითადად ყალიბდება მხოლოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. სმენის აპარატების შესყიდვაზე სულ 2011-2014 წწ-ში გამოცხადდა 7 ელექტრონული ტენდერი და ყველა ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კინდსმენა“, აქედან 5 შემთხვევაში უკონკურენტო გარემოში გაიმარჯვა. მხოლოდ ორ შემთხვევაში (2011წ და 2014წ) სატენდერო პროცედურებში მონაწილეობა მიიღო სხვა პრეტენდენტმა და კონკურენტულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ფასი მნიშვნელოვნად დაბალია სხვა შემთხვევებში დაფიქსირებულ „მონოპოლიურ“, თითქმის უცვლელ ფასზე, 2014 წელს ფასთა შორის სხვაობამ 46 % შეადგინა. რაც შეეხება კოხლეარული იმპლანტების შესყიდვას, 2011-2014 წწ-ში მის შესყიდვაზე გამოცხადებულია 7 ელექტრონული ტენდერი, ყველაგან გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კინდსმენა“ და გამარჯვებული სატენდერო წინადადების ფასი თითქმის იდენტურია სატენდერო განაცხადში დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების.

2011-2014 წლებში სმენის აპარატების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერები

ტენდერის რეგისტრაციის ნომერი	რეგისტრაციის თარიღი	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	ერთეულის ღირებულება თანმდევი მომსახურებით	მონაწილე პრეტენდენტები	გამარჯვებული ორგანიზაცია
SPA110014641	31-05-11	359,400.00	323,950.00	35,450.00	310.00	1.კინდ სმენა 2.ინკლაინი	კინდ სმენა
SPA110014642	31-05-11	128,300.00	122,850.00	5,450.00	450.00	კინდ სმენა	კინდ სმენა
SPA120003607	31-01-12	446,800.00	405,000.00	41,800.00	450.00	კინდ სმენა	კინდ სმენა
SPA120018402	02-07-12	291,800.00	200,900.00	90,900.00	410.00	კინდ სმენა	კინდ სმენა
SPA120025178	17-10-12	90,900.00	89,250.00	1,650.00	425.00	კინდ სმენა	კინდ სმენა
SPA130011085	20-05-13	410,000.00	405,000.00	5,000.00	405.00	კინდ სმენა	კინდ სმენა
SPA140019900	22-08-14	640,000.00	349,600.00	290,400.00	218.50	1. სს საზღვაო ჰოსპიტალი, 2.შპს კინდ სმენა	კინდ სმენა
სულ		2,367,200.00	1,896,550.00	470,650.00			

ბ) ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შეძენით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს;გ) ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობას.

²⁷ აღნიშნული საკითხი შესწავლილია „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში.

დაკავშირებული მხარეები. შპს „კინდსმენას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, რომლის მიერაც განისაზღვრა შესასყიდი საქონლის ტექნიკური პარამეტრები, ერთი პირია. ასევე, შპს „კინდსმენა“-ს დირექტორი და იმ კლინიკის დირექტორი, სადაც ტარდება კოხლერული იმპლანტის ოპერაციები წარმოადგენს ერთიდაიგივე პირს.

სხვაობა მიწოდებული საქონლის ტექნიკური პარამეტრებსა და ტექნიკურ დავალებით მოთხოვნილ პარამეტრებს შორის. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შპს „კინდსმენას“ მიერ წარმოდგენილი სმენის აპარატების ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობა სატენდერო წინადადებაში მითითებულ ვებ-გვერდზე²⁸ არსებულ იდენტური სმენის აპარატების მონაცემებთან, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სმენის აპარატების ტექნიკური მონაცემები შეუსაბამოა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ტექნიკური დავალების პარამეტრებთან. წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი პარამეტრები, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი და შესაბამის ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები.

დასახელება	ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი პარამეტრები	პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები	ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები
მსუბუქი და საშუალო სიმძიმის სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატი²⁹			
აკუსტიკური გაძლიერება	60-69 დბ	60-69 დბ	69-72 დბ
მაქსიმალური გამოსავლის დონე	1600 ჰც 139 დბ	1600 ჰც 139 დბ	1600 ჰც 136 დბ
სიხშირული დიაპაზონი	<100 ჰც - >5500 ჰც	100 - 5800 ჰც	400 - 5500 ჰც
ელემენტის ტიპი	312	312 ან 13	13
მძიმე სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატი³⁰			
აკუსტიკური გაძლიერება	78-82 დბ	78-81 დბ	72-82 დბ
მაქსიმალური გამოსავლის დონე	1600 ჰც 144 დბ	1600 ჰც 144 დბ	1600 ჰც 133 დბ
სიხშირული დიაპაზონი	<100 ჰც - >5200 ჰც	100 - 5400 ჰც	200 - 5200 ჰც
ექვივალენტური შემავალი ხმაურის დონე	<22	<22	<28

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს სააგენტომ გამოაცხადა 13 ელექტრონული ტენდერი სააგენტოს ოფისების დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე. ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება **460,426.00** ლარს შეადგენს. ტენდერებში მონაწილეობას იღებდა 11 სხვადასხვა კომპანია, აქედან 5 მათგანის დამფუძნებელი ერთი პირია. მოცემულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ 11 ტენდერში, აქედან 8 შემთხვევაში გამარჯვებულად გამოვლინდნენ და გაუფორმდათ ხელშეკრულება რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 251 778 ლარი, რაც მოცემულ მომსახურებაზე სააგენტოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულების 73 %-ს წარმოადგენს

გამოვლენილი გარემოება: სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საპროექტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ხელშეკრულებები გაფორმებულია სამ სხვადასხვა კომპანიასთან შპს „ბლოკ-ჯორჯია“, შპს „მედპროექტი“ და შპს „მედმშენი, საერთო ღირებულებით - 490 ათასი ლარი: კომპანიების სარეგისტრაციო მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ ორ მათგანს საერთო მესაკუთრე ყავს, მესამე კომპანიის დირექტორი კი მათთან დაკავშირებულ პირს წარმოადგენს.

²⁸ www.audifon.de

²⁹ Allegro M/MT (ვებ-გვერდი: <http://www.audifon.com/fileadmin/pdf/professionals/en/datasheet/allegroM.pdf>)

³⁰ Allegro X/XT (ვებ-გვერდი: http://www.audifon.com/fileadmin/pdf/professionals/en/datasheet/allegroX_XT.pdf)

კრიტერიუმი: ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად³¹.

გამოვლენილი გარემოება: სააგენტოსა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის მედიკამენტების მიწოდებაზე გაფორმებული 30 ხელშეკრულებიდან 25 შემთხვევაში განსხვავებულია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ხელშეკრულების საპროექტო პირობებსა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ანალოგიურ პირობებს შორის. კერძოდ: ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, საქონლის მიწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად კი პირგასამტეხლოს ოდენობა შეიცვალა და შეადგინა ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ი. 26 შემთხვევის მიხედვით ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულია სხვა საჯარიმო სანქციებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. კერძოდ, პროექტის მიხედვით ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველს გადაუხდიდა ჯარიმას ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, ტრანსპორტირებისათვის დადგენილი აუცილებელი პირობების ან მედიკამენტის ვარგისიანობისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმის სახით გადაიხდიდა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეცვლილი პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის სააგენტომ მიმწოდებლებს დააკისრა პირგასამტეხლო 63,030 ლარის ოდენობით, რაც 115,393 ლარით ნაკლებია ხელშეკრულებების პროექტით გათვალისწინებულ ანალოგიური საჯარიმო სანქციების ოდენობაზე.

N	ტენდერის სარეგისტრაცი ო ნომერი	გამარჯვებული ორგანიზაცია	პირგასამტეხლოს ოდენობა		სააგენტოს მიერ დაკისრებული პირგასამტეხლო (თანხა ლარებში)	ხელშეკრულები ს პროექტით დასაკისრებელი პირგასამტეხლო (თანხა ლარებში)	სხვაობა
			ხელშეკრულები ს პროექტით	გაფორმებულ ხელშეკრულები თ			
1	SPA130026332	სს "ჯი პი სი"	0.2%	0.1%	27,840.00	55,680.00	27,840.00
2	SPA130026335	სს "ჯი პი სი"	0.2%	0.1%	18,831.15	37,662.30	18,831.15
3	SPA130026341	შპს მედინტორგ	0.1%	0.1%	299.50	299.50	-
4	SPA130027627	შპს ეი-ბი-სი ფარმაცია	0.2%	0.1%	5,898.50	11,797.00	5,898.50
5	SPA140001626	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	0.2%	0.1%	2,898.13	28,648.95	25,750.82
6	SPA140001627	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	0.2%	0.1%	1,023.50	12,771.19	11,747.69
7	SPA140006706	novo nordisk A/S	0.2%	0.1%	576.00	5,760.00	5,184.00
8	SPA140007053	სს "ჯი პი სი"	0.2%	0.1%	1,067.37	2,134.74	1,067.37
9	SPA140008214	შპს ეი-ბი-სი ფარმაცია	0.2%	0.1%	4,171.30	8,342.60	4,171.30
10	SPA140010286	novo nordisk A/S	0.2%	0.1%	424.35	15,326.28	14,901.93
სულ ჯამი					63,029.80	178,422.57	115,392.77

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი

აღნიშნული გარემოება ზრდის ტენდერებში არაკონკურენტული გარემოს ხელოვნურად შექმნის რისკს, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მოცემულ შემთხვევებში ტენდერები ხასიათდება მინიმალური კონკურენციით და საქონლის დიდი ნაწილი მიწოდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით.

შესყიდვის განხორციელება შესაბამისი ნორმატიულ აქტით საჯარო ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამდე. 2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1117 განკარგულებით³² სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 3,900,000 ლარი საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში 81 სოფლის ამბულატორიისა (2,400,000 ლარი) და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიაშვილში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობისათვის (1,500,000 ლარი). აღნიშნულის განხორციელება სსიპ საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს დაევალა, რომელმაც 2013 წლის 28 ოქტომბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი³³ ასაწყობი შენობების შესყიდვაზე. 2013 წლის 3 დეკემბერს კი აღნიშნული ამბულატორიების სხვადასხვა სახის სამედიცინო და საოფისე ინვენტარით აღჭურვისათვის ტენდერები სამინისტრომ გამოაცხადა. 2014 წლის 24 თებერვალს აღჭურვის პროგრამის ბიუჯეტში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება³⁴ და „არაფინანსური აქტივის“ მუხლში არსებული რესურსი 363,000 ლარი გადატანილ იქნა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, რათა განხორციელებულიყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. კონკრეტულად მოცემული აქტივობის განხორციელების უფლებამოსილების ფორმალური ნორმატიული შესაბამისობა კი განხორციელდა შესყიდვის ფაქტობრივად განხორციელების შემდეგ, კერძოდ, ამბულატორიის სხვადასხვა სამედიცინო და საოფისე ინვენტარით აღჭურვის კომპონენტი რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამაში აისახა მთავრობის 2014 წლის 27 აგვისტოს #515 დადგენილების საფუძველზე³⁵.

2. „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა ამოქმედდა 2013 წლიდან, მისი განმახორციელებელია სააგენტო. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შეიქმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის. პროგრამის 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 200,000,000 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში დაზუსტდა და საბოლოო ბიუჯეტი განისაზღვრა 338,480,000 ლარით. პროგრამა მოიცავს ცხრა კომპონენტს, მისი ბიუჯეტი ჩამოთვლილი არ არის თვითოეული კომპონენტის მიხედვით.

³² <https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/files.php?mode=app&file=591517&code=1382983116>

³³ ტენდერის NSPA130023459

³⁴ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2014 წლის 24 თებერვლის დოკუმენტი #126.

³⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 აგვისტოს N515 დადგენილება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

#	კომპონენტი	2014 წლის საკასო ხარჯი	კომპონენტის წილი
1	გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება	158,809,327.34	47%
2	გეგმიური ქირურგიული მომსახურება (გარდა კარდიოქირურგიისა)	48,910,680.50	15%
3	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	44,670,767.96	13%
4	მშობიარობა და საკეისრო კვეთა	26,148,068.73	8%
5	გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	25,462,533.82	8%
6	ქიმიოთერაპია და ჰორმონოთერაპია	12,607,342.77	4%
7	კარდიოქირურგია	11,128,966.71	3%
8	სხივური თერაპია	7,841,439.08	2%
9	სამკურნალო საშუალებები	23,813.46	0%
სულ 2014წ		335,602,940.37	100%

2.1 „ორმაგი დაზღვევა“

კრიტერიუმი: პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის N165-ით და N218-ის³⁶ (შემდგომში 165-ე და 218-ე დადგენილებები) დადგენილებებით განსაზღვრული მოსარგებლები³⁷. 2014 წლის 1 აპრილამდე N218 დადგენილებით განსაზღვრული ბენეფიციარების, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბრამდე N165 დადგენილებით ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფო პროგრამა „ჯანმრთელობის დაზღვევის“ ფარგლებში;
- ომის ვეტერანები;
- მთავრობის N36-ე დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების საბაზისო და მინიმალური პაკეტით მოსარგებლები³⁸.
- 2014 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიების „ქართუს“ და „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ კერძო სადაზღვევო სქემებიდან მათგან დამოუკიდებელი მიზეზით გასული მოქალაქეები.

სადაზღვევო კომპანიებსა და სააგენტოს მიერ უნდა შექმნილიყო მოსარგებლე/დაზღვეულ პირთა იდენტიფიცირების მექანიზმი ურთიერთშეთანხმებული ფორმატით.

³⁶ სოციალურად დაუცველები, საჯაროს სკოლის მასწავლებლები, სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები.

³⁷ 0-5 წლის ჩათვლით ბავშვები, სტუდენტები, საპენსიო ასაკის მოსახლეობა, შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ საქართველოს მოქალაქეები

³⁸ საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ იყვნენ ჩართული კერძო სადაზღვევო სქემაში, მათ მომსახურების სრული პაკეტით შეუძლიათ სარგებლობა - **საბაზისო პაკეტი**; მოქალაქეები, რომელთაც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ჰქონდათ კერძო დაზღვევა, მაგრამ 01 ივლისის შემდეგ შეუწყდათ დაზღვევა, ეს უკანასკნელნი სარგებლობენ N36 დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური პაკეტით, კერძოდ: **გეგმიური ამბულატორიის ფარგლებში** - მხოლოდ ოჯახის ექიმის მომსახურებით, სისხლის და შარდის საერთო ანალიზი; **გადაუდებელი შემთხვევები** ამბულატორია/სტაციონარი და მშობიარობა/საკეისრო.

გამოვლენილი გარემოება: 2013 წლის 1 ივლისის და 2014 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდში, სააგენტოს სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთშეთანხმებული ფორმატით, არ განუხორციელებია მოსარგებლე/დაზღვეულ პირთა იდენტიფიცირება. მოქალაქეები, რომლებიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ იყვნენ ჩართულები კერძო სადაზღვევო სქემებში და ამ თარიღის შემდეგ ჩაერთვნენ მასში, საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სარგებლობენ საბაზისო პაკეტით და დამატებით (თანადაფინანსების სახით) მათი სამედიცინო მომსახურებების ხარჯები ანაზღაურდება კერძო, ინდივიდუალური სადაზღვევო სქემებით. ამ დროს კერძო სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო შემთხვევის ღირებულებას ანაზღაურებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამოიწურება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტის ფარგლებში არსებული რესური; მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციართა ერთი კატეგორია სარგებლობს ჯანმრთელობის ორმაგი დაზღვევით და შესაბამისად გარკვეული პრივილეგიებით, ხოლო მეორე კატეგორია სარგებლობს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაზღვევის მინიმალური პაკეტით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს პროგრამის ბენეფიციარებს.

აუდიტის ჯგუფის მიერ სააგენტოს მეშვეობით კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია 2013 წლის 1 ივლისის შემდგომ დარეგისტრირებულ მოსარგებლეთა მონაცემების შესახებ. სააგენტოს უფლებამოსილი პირის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე, ხოლო დარჩენილი ნაწილის მიერ მოწოდებულ იქნა არავალიდური მონაცემები. წარმოდგენილი არასრული და არაზუსტი მონაცემთა ბაზების საფუძველზე აუდიტის ჯგუფმა შეძლო მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი 2013 წლის 1 ივლისის და 2015 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, რომლის წილი ქვეყნის ბაზარზე მოზიდული პოლისების ჯამურ რაოდენობის მიხედვით შეადგენს მხოლოდ 6.25%-ს³⁹. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ აღნიშნული კომპანიის სადაზღვევო სქემებში 2013 წლის 1 ივლისის შემდგომ ჩაერთო **24,814** პირი, რომელთა მიხედვითაც პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებულია 773,013 ლარი.

2.2 სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება

პროგრამის მომსახურების მიმწოდებლები არიან სამედიცინო დაწესებულებები (კლინიკები, ამბულატორიები და აფთიაქები). სააგენტო მომსახურების მიმწოდებლებთან წინასწარ აფორმებს ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც ისინი პასუხისმგებლები არიან სამედიცინო სერვისების სათანადოდ მიწოდებაზე. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება და დაფინანსების წესი განსხვავებულია კომპონენტების მიხედვით.

კრიტერიუმი: მომსახურების და ბენეფიციართა ტიპის მიხედვით დაწესებულია ანაზღაურების ზღვრული ლიმიტები. ანაზღაურებას დაქვემდებარებული ტარიფის არეალი განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ სააგენტოს ელექტრონულ პლატფორმაზე წარმოდგენილი სამედიცინო სერვისების ღირებულებით (განფასებით). მოცემული „საპრეისკურანტო“ ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 და 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის გაწეული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მომსახურების და/ან შესაბამის ხელშეკრულებებში ბოლო 1 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ ისტორიულ მინიმალურ ღირებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაქსიმუმ 10 პროცენტის გადახრით,⁴⁰ რაც გულისხმობს სადაზღვევო კომპანიებსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის ამ პერიოდში დაკონტრაქტებულ ფასებს. ტარიფის არეალის, რომლის ფარგლებშიც ხდება გაწეული მომსახურების ანაზღაურება, განსაზღვრის ალგორითმი პროგრამის თითოეული კომპონენტის მიხედვით განსხვავებულია. ყველა შემთხვევაში ტარიფის არეალის

³⁹ <http://www.insurance.gov.ge/Statistics.aspx>

⁴⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N36, დანართი N1, მუხლი 22, პუნქტი 4.

განსაზღვრავს მონაწილეობას იღებს ზემოაღნიშნული წესით სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ გაცხადებული ფასები. **გეგმური სტაციონარის** შემთხვევების ანაზღაურების დროს ტარიფის არეალად აღებულია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი კონკრეტული ჩარევის ღირებულებები: მაქსიმალური ღირებულებას გამოკლებული მინიმალური, სხვაობა გაყოფილი ოთხზე და დამატებულია მინიმალური ღირებულება- $(\text{max-min})/4 + \text{min} = \text{ტარიფის არეალი}$. ამ ტარიფის არეალშივე განისაზღვება მოსარგებლის თანაგადახდის წილიც. ელექტრონულ პორტალზე სამედიცინო დაწესებულების მიერ ატვირთული ფასი წარმოდგენილია ICD⁴¹-ისა და NCSP⁴² კოდების მიხედვით, რომელსაც სისტემა ანიჭებს კომბინაციის⁴³ კოდს. ყოველი თვის დასაწყისში, ხდება ძველი კომბინაციის კოდის შეცვლა და ახალი კომბინაციების გააქტიურება არსებობის შემთხვევაში. კომბინაცია შედგება ერთი ან რამდენიმე კლინიკის მიერ წარდგენილი ფასისგან, საიდანაც ხდება სისტემის მიერ ზემოთხსენებული ფორმულის შესაბამისად ერთი კონკრეტული კომბინაციისათვის სატარიფო არეალის გამოთვლა.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა სამედიცინო მომსახურებაზე პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებადი სატარიფო არეალის განსაზღვრის პროცესში კონტროლის სისუსტეები:

1. აუდიტის ობიექტი არ ფლობს ინფორმაციას მთავრობის 218-ე და 165-ე დადგენილების განსაზღვრული მოსარგებლებისათვის გაწეული მომსახურებაზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური ღირებულების შესახებ, რაზეც მიბმულია ტარიფის „ჭერი“ და შესაბამისად ანაზღაურების მოქმედი ტარიფები “კონტროლიდან” არის გასული, რაც თავის მხრივ წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკს. განსაკუთრებით მაღალი ხარჯებისადმი მიდრეკილი გადაუდებელი შემთხვევები, რადგან ამ დროს ანაზღაურება ხორციელდება ერთეული შემთხვევისათვის დადგენილი მაღალი ლიმიტის ფარგლებში, განსხვავებით გეგმური შემთხვევებისგან, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ანაზღაურების წლიური ლიმიტი შემთხვევის რაოდენობის მიუხედავად. ამასთან, გადაუდებელი შემთხვევის მომსახურება ხდება დაყოვნების გარეშე. ინფორმაციული ასიმეტრიის პირობებში, რაც გამოიხატება სამედიცინო მომსახურებაზე პაციენტის არასაკმარისი ინფორმირებულობით, სამედიცინო დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან არააუცილებელი სამედიცინო დახმარების ჩატარებით გაზარდონ თავიანთი შემოსავლები, ხოლო პაციენტის ჰოსპიტალიზაციის გასამართლებლად დაამძიმონ (გააურგენტონ) შემთხვევის სირთულე.

2. სამედიცინო შემთხვევების შერჩევა განხორციელდა 2014 წლის ივლისის⁴⁴ თვის კომბინაციების გენერალური ერთობლიობიდან. მოცემული თვის განმავლობაში გეგმური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიხედვით აქტიური იყო 11 789 კომბინაცია 256 სამედიცინო დაწესებულის მონაწილეობით. აღნიშნულ კომბინაციებზე მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფასების მაქსიმალურ და მინიმალურ ღირებულებებს შორის სხვაობის განსხვავებული დიაპაზონის მიხედვით შეირჩა 63 კომბინაცია. მოცემული რაოდენობის კომბინაციების მიხედვით ტარიფის არეალის განსაზღვრაში მონაწილეობა მიიღო 70 სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა ფასებმა. აუდიტის ჯგუფის მიერ სააგენტოს მეშვეობით აღნიშნული მიმწოდებლებიდან გამოთხოვილი იქნა ფასების ფორმირებასთან დაკავშირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია წარმოადგინა მხოლოდ 54 -მა მიმწოდებელმა.

შერჩეული კომბინაციებიდან 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში მხოლოდ 31 კომბინაციის მიხედვით განხორციელდა სამედიცინო მომსახურების მიწოდება. შემთხვევათა რაოდენობამ

⁴¹ **დაავადებების** და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების საერთაშორისო კლასიფიკაცია

⁴² საერთაშორისოდ აღიარებული სამედიცინო ჩარევების კოდები, რომლის მიხედვითაც ხდება ფასების დაანგარიშება.

⁴³ **კომბინაცია** განისაზღვრება, ICDსა და NCSP რაოდენობისა და ძირითადი ჩრევის მიხედვით.

⁴⁴ 2014 წლის ივლისი სრულად ასახავს წლის დასაწყისიდან სამედიცინო დაწესებულებებზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯის სისრულეს, ვინაიდან კლინიკის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოს შემდგომი ანაზღაურებისათვის განსაზღვრულია 3 თვე ხოლო ინსპექტირებისა და ანაზღაურებისთვის მაქსიმალური ვადა 45დღეს შეადგენს.

შეადგინა 802 ერთეული და პროგრამის ფარგლებში მოცემულ შემთხვევებზე ანაზღაურებულმა თანხამ 1,094,253ლარი.

კომბინაციებზე ფასწარმოქმნის პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ კომბინაცია #467199-ის მიხედვით სისტემაში დაფიქსირებული მინიმალური ფასი იყო 8 ლარი, ხოლო მაქსიმალური ფასი 6,000 ლარი. შედეგად ტარიფის არეალი განისაზღვრა 1,506 ლარით⁴⁵, რომელიც აქტიური იყო 2014 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით. კომბინაციის აღნიშნული ფასით პაციენტზე სააგენტოს მიერ გაიცა მიმართვა, მაშინ როდესაც მოთხოვნილი თანხა შეადგენდა 2,200 ლარს. კონკრეტული პაციენტი წარმოადგენდა მთავრობის N218 დადგენილებით განსაზღვრულ მოსარგებლეს, რომლის მიხედვითაც მოცემული კომბინაციით გაწეულ სამედიცინო მომსახურების ხარჯები სრულად ანაზღაურდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. აქედან გამომდინარე, „ანომალიური“ მინიმალური ფასის „შეუმჩნევლობის“ შედეგად ტარიფის არეალის ზედა „ჭერი“ შემცირდა ხელოვნურად, რამაც თავის მხრივ გამოიწვია პაციენტის მხრიდან „თანაგადახდის“ აუცილებლობა (მოთხოვნილსა და ტარიფის არეალის მაქსიმალურ ჭერს შორის სხვაობის თანხაზე). 2014 წლის აგვისტოს თვის შემდეგ კი სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი ტარიფი გაორმაგდა და გახდა 3,150 ლარი. არის შემთხვევა, როდესაც კლინიკის მიერ წარმოდგენილი მომსახურების „ანომალიური“ მაქსიმალური ღირებულება ხელოვნურად ზრდის ასანაზღაურებელი ტარიფის არეალის მაქსიმალურ ნიშნულს, რაც შესაბამისად იწვევს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ზრდას. მაგალითად ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ NCSP-JLSC30 კომბინაციაზე ატვირთული ჰქონდა მაქსიმალური ღირებულება 12,000 ლარის ოდენობით (კლინიკის მიერ მოწოდებული კალკულაციით მოცემული სამედიცინო ჩარევის ღირებულება კი შეადგენდა 4,980 ლარს). მოცემული ფასის მონაწილეობით სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი ტარიფი 4,410.75 ლარის ოდენობით აქტიური იყო 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით, მიმართვაც ასაკით პენსიონერზე გაიცა 2014 წლის სექტემბერში 3,969.68 ლარზე (პენსიონერს აქვს 10% თანაგადახდა). აღნიშნული ტარიფი სექტემბრის შემდეგ შემცირდა და შესაბამისად შემცირდა სახელმწიფოს ხარჯიც.

ზემოთ აღნიშნული კონტროლის სისუსტეებითაა ნაწილობრივ განპირობებული ის ფაქტი, რომ N218 და N165 დადგენილებით განსაზღვრული ბენეფიციარების მიხედვით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2014 წლის დეკემბრის ხარჯი 7,346,096 ლარით აღემატება პროგრამაში ჩართვამდე მოცემული ბენეფიციარების მიხედვით კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით 2013 წლის განმავლობაში გაწეულ საშუალოთვიურ ხარჯს.

2.3 ვადაგადაცილებული ანგარიშსწორება

კრიტერიუმი: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში მიმწოდებლები (კლინიკები, ამბულატორიები, აფთიაქები) გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად სააგენტოში წარადგენენ საანგარიშგებო დოკუმენტაციას (შესრულებულ სამუშაო), მომდევნო სამი თვის განმავლობაში⁴⁶. დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 30-35⁴⁷ სამუშაო დღის განმავლობაში⁴⁸ პროგრამის განმახორციელებლის მიერ უნდა განხორციელდეს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება და იმ შემთხვევების მიხედვით, რომელიც

⁴⁵ $(6000-8)/4 + 8 = 1506$

⁴⁶ მთავრობის დადგენილება N36, დანართი 1, მუხლი 8, პუნქტი 4

⁴⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება N36 მიხედვით საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების ვადა არის 30 სამუშაო დღე, ამასთან მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებით ეძლევა 5 სამუშაო დღე (საქართველოს მთავრობის დადგენილება N36, მუხლი 13, პუნქტი 2 და მუხლი 15, პუნქტი 4, ქვეპუნქტი ა).

⁴⁸ მთავრობის დადგენილება #36, დანართი 1, მუხლი 14, პუნქტი 2 და მუხლი 15, პუნქტი 4-ის ა) ქვეპუნქტი

კვალიფიცირდება „ექვემდებარება ანაზღაურებას“ პროგრამაში⁴⁹ (ელექტრონულ პორტალზე) იქმნება მიღება-ჩაბარების აქტი. სააგენტო ვალდებულია ასანაზღაურებელი შემთხვევების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელოს საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში⁵⁰.

გამოვლენილი გარემოება: სააგენტო ანგარიშსწორების მიზნით 10 სამუშაო დღის ათვლას იწყებს მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხრიდან ხელმოწერებით დადასტურების დღიდან. ანაზღაურებას დაქვემდებარებული მომსახურებების მიხედვით ელექტრონულ სისტემაში მიღება-ჩაბარების აქტის „შექმნის“ და მისი ხელმოწერებით დადასტურების თარიღებს შორის არის მნიშვნელოვანი, არსებითი დროის პერიოდი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მიმწოდებლებისათვის შეზღუდულია ელ. პორტალზე შექმნილ მიღება-ჩაბარების აქტზე წვდომა (ხედავ), შესაბამისად, მათთვის უცნობია ინსპექტირების დასრულების პერიოდი, მიღება-ჩაბარების აქტის შექმნის თარიღი და ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა. მიმწოდებელი აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მიზნით სააგენტოს თანამშრომლის მიერ სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

აუდიტის ჯგუფმა 2014 წლისა და 2015 წლის იანვრის თვეებში განხორციელებული ანგარიშსწორების მიხედვით შეარჩია 795 მიღება-ჩაბარების აქტი. შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტის „შექმნის“ თარიღსა და განხორციელებულ ანგარიშსწორების თარიღს შორის დროის პერიოდი (10 (ათი) სამუშაო დღეზე მეტი პერიოდი). აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა მოცემული შერჩეული ერთობლიობის რანჟირება ე.წ. „ვადაგადაცილებული ანგარიშსწორების“ დღეების მიხედვით. რანჟირებული შემთხვევებიდან მოხდა შერჩევა, რომელმაც შეადგინა 76 ერთეული, საიდანაც 63 შემთხვევაში (ღირებულებით 972,907 ლარი) ანგარიშსწორება განხორციელებულია დადგენილი ვადის დარღვევით.

2.4 სამედიცინო შემთხვევების მონიტორინგი

კრიტერიუმი: პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო შემთხვევათა მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის განმახორციელებლის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით⁵¹. შემოწმებას ექვემდებარება „სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდულში“ მიმწოდებლის მიერ ყოველდღიურად დაფიქსირებული გადაუდებელი სტაციონარული და გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევების ყოველი მე-5 შემთხვევა. შემოწმება ხორციელდება შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო 2 სამუშაო დღეში.

გამოვლენილი გარემოება: სამედიცინო შემთხვევების მონაცემთა ბაზის ანალიზით დადგინდა, რომ შეტყობინებები შემოსულია სულ 270 კლინიკიდან. შეტყობინებების 33% შემოწმებულია მონიტორინგის სამსახურის მიერ. 35 სამედიცინო დაწესებულებიდან შემოსული შეტყობინება არ მოხვდა შერჩეულ ერთობლიობაში და შესაბამისად, მოცემული მიმწოდებლების მიხედვით დამდგარი სამედიცინო შემთხვევების ინსპექტირება არ განხორციელებულა.

⁴⁹ ჯანმრთელობის დაცვის საინფორმაციო სისტემა, პროგრამა - ელექტრონული ჯანდაცვა <http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Portal/Default.aspx>.

⁵⁰ მთავრობის დადგენილება #36, დანართი 1, მუხლი 15, პუნქტები 5; 4 -ის ბ) ქვეპუნქტი

⁵¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, დანართი 1, მუხლი 12

2.5 უფლებამოსილების გამიჯვნა

სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მართვის დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, გარდა დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა, ახორციელებს დამატებით სხვა აქტივობებსაც, რაც ვლინდება შემდეგში: დებულებით ეს სამმართველო პასუხისმგებელია მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოს საანგარიშგებო დოკუმენტაციის მიღებაზე, შესრულებული სამუშაოს მართვის სამმართველო კი მათ ინსპექტირებაზე. ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ზოგიერთი თანამშრომელი, არა მხოლოდ იღებს სამკურნალო საშუალებების და გეგმური ამბულატორიული მომსახურების შესრულების საანგარიშგებო დოკუმენტაციას, არამედ ახდენს მის ინსპექტირებას და განსაზღვრავს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას.

2.6 „ინტერესთა კონფლიქტი“

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ მართვას და მის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების კოორდინაციას ახორციელებს სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მართვის დეპარტამენტი სტრუქტურული ერთეულების (5 სამმართველო) და რეგიონული ოფისების მეშვეობით.

არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს დეპარტამენტში სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული თანამშრომლების მიგრაციას/დასაქმებას პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევათა რაოდენობა 10 ერთეულია. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც დროის ერთსა და იმავე პერიოდში ერთდროულად სამსახურებრივ საქმიანობას ეწეოდნენ (ვიან) როგორც დეპარტამენტში, ასევე პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევათა რაოდენობა შეადგენს 23 ერთეულს. შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში აღნიშნული პირები წარმოადგენენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მართვის დეპარტამენტის შესრულებული სამუშაოს მართვისა და მონიტორინგის სამმართველოების თანამშრომლებს.

3. პროგრამა „სოფლის ექიმი“

პროგრამის განმახორციელებელია სააგენტო. მისი მიზანია სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა და ასევე სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებისათვის.

პროგრამა „სოფლის ექიმის“ 2014 წლის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით

#	კომპონენტი	თავდაპირველი ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი
1	პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა)	3,823,136.00	16,070,700.00
2	სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება	3,571,464.00	3,548,200.00
3	შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება	134,400.0000	122,300.00
4	სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა	-	878,300.00
სულ		7,529,000.00	20,619,500.00

2014 წლის 31 დეკემბერს „ჯანმრთელობის დაზღვევა“ პროგრამის (კოდი 35 03 01), „სხვა ხარჯების“ მუხლით სააგენტომ ერთჯერადი გასაცემლის სახით „სოფლის ექიმის“ პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებულ ექიმებსა და ექთნებს (2 617 ერთეული) გასცა 810,550.00 ლარი. მოცემული ხარჯთაღრიცხვის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის # 2452 განკარგულება. სამინისტროს განმარტებით ბარათში, რომელიც საფუძველად უდევს აღნიშნულ განკარგულებას, ხარჯთაღრიცხვის მოცემული ცვლილების საჭიროება და მიზნობრიობა არ არის საკმარისად დასაბუთებული.

პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობას პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას აწვდის სოფლის ექიმი/ექთანი, ხოლო სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება სხვადასხვა მომსახურებას აწვდის რაიონული ცენტრის (ქალაქის, დაბის) მოსახლეობას და არა სოფლის მოსახლეობას⁵². სპეცდაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, პროგრამით გამოყოფილი ასიგნება ითვალისწინებს ამ ორგანიზაციების მდგრადობის შენარჩუნებას კონფლიქტურ, მასთან მიმდებარე რეგიონებში და მაღალმთიან რეგიონებში, სადაც სამედიცინო მომსახურების მიწოდება კომერციულად არამომგებიანია მოსახლეობის მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულების შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მათ ბაზისურ დაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო. სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები ფინანსდებიან „გლობალ ბიუჯეტის“ მეთოდით და დაფინანსების ლიმიტები განისაზღვრება თითოეული დაწესებულებისთვის ინდივიდუალურად. სპეცდაფინანსების ლიმიტები განისაზღვრა 2004 წელს, მას შემდეგ არ მომხდარა ლიმიტების განახლება, შესაბამისად, უცნობია რაზე დაყრდნობით დადგინდა კონკრეტული დაწესებულებებისათვის თვის ლიმიტები.

2014 წლის 1 ივლისიდან პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი - სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა⁵³ და მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 878,300 ლარით. აღნიშნული კომპონენტის დამატება გამოწვეული იყო იმ გარემოებით რომ სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულების მმართველმა კომპანიებმა (შპს „სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“) მიმართეს სამინისტროს არსებული რესურსის ამოწურვის, 2014 წლის 15 ივლისიდან გარკვეული აქტივობების შეწყვეტისა და თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების შესახებ, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების ლოკაციების (მესტია, ცაგერი, ამბროლაური, ონი, ბაკურიანი,

⁵² გამონაკლისს წარმოადგენს ყაზბეგის და თიანეთის მუნიციპალიტეტები, ოკუპირებული სოფლები, სადაც სპეცდაფინანსების კომპონენტის ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას იღებს როგორც რაიონის, ასევე, სოფლის მოსახლეობაც - არ არის დაკონტრაქტებული სოფლის ექიმი/ექთანი.

⁵³ ბრძანება #01-200/ო

თეთრი წყარო, წალკა, ყაზბეგი, თიანეთი) მიხედვით მოსახლეობისათვის საჭირო სამედიცინო სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდება.

სამედიცინო დაწესებულებები (შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ და სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“) რომლებიც ფინანსდებიან აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ამავდროულად 2011 წლიდან ფინანსდებიან, როგორც სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები.

შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“-სა და სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს მიერ მეორე კომპონენტის ფარგლებში მიღებული თანხები წლების მიხედვით

დასახელება	თვის ლიმიტი	2012	2013	2014	სულ 2012-2014 წელი
შპს "მედიქალ პარკი საქართველო"	53,332.00	639,984.00	639,984.00	639,984.00	1,919,952.00
შპს ჯეო ჰოსპიტალს	56,249.00	674,988.00	674,988.00	674,988.00	2,024,964.00
		1,314,972.00	1,314,972.00	1,314,972.00	3,944,916.00

მეოთხე კომპონენტის ფარგლებში 2014 წელს შპს „მედიქალ პარკი საქართველოს“ მიღებული აქვს 290,166 ლარი ხოლო შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ 431,806 ლარი.

მეოთხე კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება მინისტრის 2014 წლის 13 აგვისტოს #01-200/ო ბრძანების შესაბამისად წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგების ფორმაში დაფიქსირებული ზარალის დაფინანსება, მაგრამ არაუმეტეს ამავე ბრძანებით განსაზღვრული სპეცდაფინანსების დამატების ლიმიტებისა. ლიმიტების დადგენის საფუძვლები და შესაბამისი გაანგარიშებები აუდიტის ობიექტზე მოპოვებული ვერ იქნა. სამინისტროს მხრიდან არ ხორციელდება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების აუდიტი.

ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მიხედვით აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ფინანსური შედეგების (მოგება-ზარალი) გამოთვლაში ჩართულია არა მხოლოდ უშუალოდ კონკრეტული მუნიციპალიტეტების მიხედვით სამედიცინო დაწესებულებების პირდაპირი და ზედნადები ხარჯები, არამედ მოცემული დაწესებულებების სათაო ოფისების (მმართველი კომპანიების) ადმინისტრაციული ხარჯები: ხელფასები, სხვა ხარჯები (ოფისის ქირა, კომუნალური ხარჯები, საწვავი, ცვეთა, რემონტი) და ასევე საპროცენტო ხარჯი, სულ 789,293.21 ლარი, აღსანიშნავია, რომ სათაო ოფისის ადმინისტრაციული ხარჯის 90%-ს წარმოადგენს სათაო ოფისზე გაცემული ხელფასები, ხოლო 10%-ს წარმოადგენს სათაო ოფისის სხვადასხვა ხარჯი (საწვავი, კომუნალური, რემონტი და სხვა).

4. შრომის ანაზღაურება

4.1 სააგენტოს, ცენტრის, რეგულირების სააგენტოს და ფონდის მიხედვით, პრემიების და დანამატების გაცემის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს ხელმძღვანელის ბრძანება. მოცემულ ბრძანებებში არ არის მითითებული შრომის ანაზღაურების (პრემიის, სახელფასო დანამატი) გაცემის საფუძვლები. ამასთან, როგორც აღნიშნული სსიპ-ების, ასევე ცენტრალური აპარატის მიხედვით არ იქნა წარმოდგენილი დანამატების და პრემიის გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს

შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის აუდიტორული მტკიცებულება. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია 2014 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში საბიუჯეტო წლის დასრულებამდე სახელფასო დანამატების მნიშვნელოვანი ზრდა.

მენეჯმენტი	პრემია და დანამატი ივლისამდე	პრემია და დანამატი ივლისის შემდეგ	პრემია 1 ივლისამდე	პრემია 1 ივლისის შემდეგ	დანამატი 1 ივლისამდე	დანამატი 1 ივლისის შემდეგ
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;	74,590	134,460	74,590	62,940	-	71,520
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.	-	34,320	-	9,040	-	25,280
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	54,240	80,539	54,240	58,731	-	21,808
ცენტრალური აპარატი	249,565	401,261	230,532	147,444	19,033	253,817
სამედიცინო მედიაციის სამსახური	3,722	12,988	3,722	8,868	-	4,119
სოციალური მომსახურების სააგენტო;	339,467	602,205	339,467	206,532	-	395,673
საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	29,223	191,407	29,223	80,080	-	45,676
საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი-გრანტის ფარგლებში	-	-	-	-	-	65,651
	752,728	1,464,502	733,695	580,956	19,033	883,546

4.2 ცენტრალური აპარატის 3 თანამშრომელზე გაცემულია პრემია, მაშინ როდესაც ისინი ცენტრალურ აპარატში დაინიშნენ პრემიის ჩარიცხვის თვეს (ერთი მათგანი პრემიის დანიშვნის დღისთვის მუშაობდა სულ 7 კალენდარული დღე, ხოლო 2 მათგანის 20-20 დღე), ხოლო შესაბამის მოხსენებით ბარათში არაა მითითებული კონკრეტული გარემოებები, რის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული თანამშრომლების წახალისება.

4.3 სააგენტოში არაა დამტკიცებული სამუშაოს აღწერილობები. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შტატგარეშე თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში მითითებული შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობის დანართი უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობს. სამუშაოს აღწერილობები არ არის ცენტრალურ აპარატში. მხოლოდ კონკრეტული ვაკანსიის გამოცხადების მომენტისთვის იქმნება შესაბამისი აღწერილობა, რომელიც არ მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. შესაბამისად, გაურკვეველია ხელშეკრულებაში მითითებული კომპენსაციის თანხა კონკრეტულად რა სამუშაოს სანაცვლოდ აუნაზღაურდება.

4.4 სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით დასაქმებულთა უდიდეს წილს შტატგარეშე მოსამსახურეები

შეადგენენ (76%), რომლებიც დაქირავებულნი არიან ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად და არა დროებითი სამუშაოებისათვის⁵⁴.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დეპარტამენტი	შტატიანი	შტატგარეშე	სულ
დეპარტამენტის უფროსი	1	0	1
პირველადი დოკუმენტაციის მართვის სამართველო	5	47	52
ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამართველო	7	14	21
შესრულებული სამუშაოს მართვის სამართველო	15	17	32
ტექნიკური უზრუნველყოფის სამართველო	3	10	13
საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მონიტორინგის სამართველო	11	46	57
ვაკანტური	6	0	6
სულ	48	134	182

5. წინასწარი ანგარიშსწორება

5.1 ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებულია მიმწოდებლები, რომელთაც 2014 წლის დეკემბრის თვეში წინასწარ გადაერიცხათ თანხები. მოცემული მიმწოდებლების მიხედვით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება ხელშეკრულებით გათვლისწინებული ვადებში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თაობაზე, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი კონტროლის ჯგუფის მიერ სამუშაოების პერიოდული ინსპექტირების შედეგებზე შედგენილი აქტები⁵⁵. საბოლოო მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების აქტები შედგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

#	ორგანიზაციის დასახელება	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ფორმა	ავანსად გადარიცხული თანხა	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	ავანსის გადარიცხის თარიღი	ხელ-შით სამუშაოების დასრულების ვადა
1	შპს რემარტი	სარეაბილიტაციო სამუშაოები	ელექტრონული ტენდერი	77,693.96	12.11.2014	28.11.2014	20.01.2015
2	შპს ტერმინალი	სარეაბილიტაციო სამუშაოები	ელექტრონული ტენდერი	139,000	20.11.2014	08.12.2014	28.01.2015
3	შპს მარიამი 2009	შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	74,399.07	11.11.2014	12.12.2014	09.01.2015

5.2 დაავადებათა კონტროლისა და ცენტრის მიერ რიგ შემთხვევებში მომწოდებლებთან დეკემბრის თვეში გადარიცხულია თანხები ავანსის სახით. დაუსაბუთებელია წლის ბოლოს წინასწარი ანგარიშსწორების აუცილებლობა. ხელშეკრულებით საქონლის მიწოდების ვადები წინ უსწრებს წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების თარიღს.

⁵⁴ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი მუხლი 8.

⁵⁵ ხელშეკრულება №664, №675 და №662- მუხლი 4, ქვეპუნქტი 4.1 მუხლი 7, ქვეპუნქტი 7.2

სს „ჯი პი სი“ - აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებული იყო საქონელი მიეწოდებინა 2014 წლის 16 დეკემბრამდე. საქონლის მიწოდება განხორციელდა დაგვიანებით 2015 წლის 29 იანვარს. მიმწოდებელს 23 დეკემბერს ავანსის სახით გადაერიცხა 166,199 ლარი.

შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“ - აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში, გაფორმებული ხელშეკრულებების (ორი), თანახმად საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 15 დეკემბერი. საქონლის მიწოდება განხორციელდა დაგვიანებით 2015 წლის 28 იანვარს. ცენტრმა 2014 წლის 31 დეკემბერს ავანსის სახით გადაირიცხა 1,998 ლარი.

5.3 2014 წლის დეკემბრის თვეში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ავანსად გადაირიცხა სულ 1,399,080 ლარი.

ცენტრის მიერ 271,400 ლარი და ცენტრალური აპარატის მიერ 1,127,681 ლარი.

მხარჯავი დაწესებულება	ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	მიწოდების ვადა	ავანსის თანხა	ავანსის ჩარიცხვის თარიღი
ეროვნული ცენტრი	შპს ბიოლენდი	22.12.2014	20.04.2015	218,213.60	30.12.2014
ეროვნული ცენტრი	შპს ლატეკი	19.12.2014	16.02.2015	25,920.00	29.12.2014
ეროვნული ცენტრი	შპს გეა	22.12.2014	04.02.2015	5,850.00	30.12.2014
ეროვნული ცენტრი	შპს პრიმა მედი	19.12.2014	16.02.2015	21,415.00	26.12.2014
ცენტრალური აპარატი	შპს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი	30.12.2014	29.03.2015	700,000.00	31.12.2014
ცენტრალური აპარატი	შპს აი-სი-ი-ეს	26.12.2014	25.03.2015	367,681.35	30.12.2014
ცენტრალური აპარატი	შპს მედშენი	26.12.2014	30.03.2015	30,000.00	30.12.2014
ცენტრალური აპარატი	შპს მედპროექტი	26.12.2014	14.04.2015	30,000.00	30.12.2014

6. ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემო

